# ისინი არ დაიწვნენ გავარვარებულ ღუმელში

**მითითებები:** ეს სავარჯიშო მშვიდ გარემოში გააკეთე. ბიბლიური მუხლების კითხვისას წარმოიდგინე, რომ მოვლენები შენ თვალწინ ვითარდება. რას ხედავ? რა გესმის? რას იგრძნობდი მოქმედ პირთა ადგილზე?

**მოქმედი პირები:** შადრაქი, მეშაქი, აბედნეგო და ნაბუქოდონოსორი.

**მოკლე მიმოხილვა:** სამი ახალგაზრდა ებრაელი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა.

## ❶ *წარმოიდგინე, რა გარემოში ვითარდება მოვლენები*
*წაიკითხე დანიელის 3:1—30*

აღწერე, რა ხმები „გესმის“, როცა 3—7 მუხლებს კითხულობ.

როგორ წარმოგიდგენია გავარვარებული ღუმელი?

შენი აზრით, როგორი ხმით გასცემდა ნაბუქოდონოსორი ბრძანებას, რომ ღუმელი ჩვეულებრივზე შვიდჯერ მეტად გაეხურებინათ? (*კიდევ ერთხელ წაიკითხე მე-19 და მე-20 მუხლები*)

აღწერე, როგორ წარმოგიდგენია მეოთხე კაცი, რომელიც ღუმელში იყო. (*კიდევ ერთხელ წაიკითხე 24-ე და 25-ე მუხლები*)

რა თვისებები გამოავლინეს შადრაქმა, მეშაქმა და აბედნეგომ ნაბუქოდონოსორთან საუბრისას, როგორც ეს 16—18 მუხლებშია აღწერილი?

## ❷ *გამოიკვლიე*

შენ ხელთ არსებული მასალის დახმარებით გამოიკვლიე, რა სიგრძის იყო ერთი წყრთა და შემდეგ გამოთვალე, რა სიმაღლის იქნებოდა ნაბუქოდონოსორის მიერ აგებული ქანდაკება (*კიდევ ერთხელ წაიკითხე 1-ლი მუხლი*).

როცა მე-19 და მე-20 მუხლებს 28-ე და 29-ე მუხლებს ადარებ, როგორ პიროვნებად წარმოგიდგენია ნაბუქოდონოსორი?

❸ **მოიქეცი ნასწავლის შესაბამისად. ჩამოწერე, რაც ისწავლე . . .**

უფლებამოსილთა მიმართ პატივისცემაზე.

იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იმის მტკიცედ დაცვა, რისიც გწამს.

იმაზე, თუ როგორ უჭერს მხარს იეჰოვა განსაცდელში მყოფთ.

**საფიქრებელი კითხვები**

რა გარემოში შეიძლება გამოიცადოს შენი რწმენა?

როგორ დაგეხმარება შადრაქის, მეშაქისა და აბედნეგოს შემთხვევა ერთგულების შენარჩუნებაში?

❹ **რა იყო შენთვის ყველაზე საინტერესო ამ ბიბლიური მონაკვეთიდან, და რატომ?**



www.jw.org © 2011 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania